# საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

## ბრძანება №154/ნ
## 2015 წლის 25 ნოემბერი

## ქ. თბილისი

**სსიპ – ქალაქ ფოთის №1 საჯარო სკოლისათვის თეოფანე დავითაიას სახელის მინიჭებისა და „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის №194 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და მე-6 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

**მუხლი 1**

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით (სსმ, №112, 26/09/2005, სარეგისტრაციო კოდი: 040.030.000.22.022.007.724) დამტკიცებული დანართი №2-ით გათვალისწინებულ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს – ქალაქ ფოთის საგანმანათლებლო რესურსცენტრს დაქვემდებარებულ სსიპ – ქალაქ ფოთის №1 საჯარო სკოლას მიენიჭოს მეცნიერების განვითარების საქმეში თვალსაჩინო წვლილის მქონე საერო პირის – თეოფანე დავითაიას სახელი.

**მუხლი 2**

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით (სსმ, №112, 26.09.2005 წ., სარეგისტრაციო კოდი 040.030.000.22.022.007.724) დამტკიცებულ დანართ №2-ში შეტანილ იქნეს ცვლილება და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს – ქალაქ ფოთის საგანმანათლებლო რესურსცენტრს დაქვემდებარებული საჯარო სკოლების თავის №1 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | თეოფანე დავითაიას სახელობის<br>ქალაქ ფოთის №1 საჯარო სკოლა | აკაკის ქ. №44 | დაწ-საბ-საშ |

**მუხლი 3**

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს განათლებისა და**
**მეცნიერების მინისტრის მოვალეობის**
**შემსრულებელი** **გიორგი შარვაშიძე**